ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №122

2016 წლის 28 დეკემბერი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის სამოქმედო თანდართული გეგმა (დანართი 1);

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2017 წლის სამოქმედო გეგმა

- ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- საავტორიზაციო განაცხადის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის გავნითარების ეროვნულ ცენტრში;
- საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) სრულყოფა, შიდა და გარე აკადემიური ექსპერტიზა;
- იმ საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება და წარდგენა აკრედიტაციის მოპოვების მიზნით, რომელთაც ვადა ეწურებათ 2018 წელს;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- სახელმძღვანელოებითა და დამხმარე ლიტერატურით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;
- სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა;
- უნივერსიტეტის პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განვითარება;
- სამეცნიერო კვლევების მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ბაზების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- იმ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსების გამოცხადება და ორგანიზება, რომელთა სახელშეკრულებო ვადა იწურება 2017 წელს;
- სამეცნიერო და სასწავლო გრანტების მომზადება და წარდგენა საქართველოს და უცხოეთის ფონდებში;
- უნივერსიტეტის შიდა სამეცნიერო გრანტების მოცულობის გაზრდა;
- საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოება;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ღონისძიებებში მივლინების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებში აქტიური ჩართვა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება–ჩატარება;
- საზაფხულო სკოლების ჩატარება;
- უცხოეთის უნივერსიტეტებიდან ქართველი და უცხოელი პროფესორების მოწვევა ლექციების ჩასატარებლად;